

## სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენების შედეგების ფიქსაციის ხერხები

შენგელი ფიცხელაური

ივ.ჯავახისვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი,  
სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის კათედრა

დავადგინეთ რა წინასწარ გამოძიებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა  
და სპეციალურ ცოდნათა გამოყენების ფორმები, ჩვენ ამჯერად აუცილებლად უნდა  
განვსაზღვროთ მათი გამოყენების შედეგების სტატუსი, მტკიცებულებითი  
მნიშვნელობა, ე.ი. მტკიცებულებათა რომელი წყაროების წესების მიხედვით უნდა  
ვისარგებლოთ მათი.

განსაზღვრული პასუხის მისაღებად მოცემულ საკითხზე საკმარისია  
გავაანალიზოთ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სამი ფორმა:  
საგამოძიებო, საექსპერტო და ოპერატიული. აქ ლაპარაკია საგამოძიებო მოქმედებათა  
ოქმებისა და მათი დანართების შესახებ, ექსპერტის დასკვნასა და მასალებზე,  
რომლებიც მიღებულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად.

პირველი ორი ფუნქციის განხორციელების მსვლელობის დროს მიღებული  
მასალების სტატუსის გადაწყვეტისას, ჩვენ გარდუვალად უნდა გადავწყვიტოთ  
მუდმივად სადისკუსიოდ წარმოჩენილი საკითხი გამომძიებლისა და ექსპერტ-  
კრიმინალისტის პროცესუალური კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, საგამოძიებო და ოპერატიული  
ორგანოების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით, მათ შორის აგრეთვე  
ანალიტიკური საშუალებებით აღჭურვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი,  
სასამართლო საქმიანობაში მათი ფართოდ გამოყენების მკაფიოდ დასახული ტენდენცია  
ძირული სახით ცვლის თანაფარდობას საგამოძიებო დათვალიერებასა და  
სასამართლო ექსპერტიზას შორის.

ა.ი.ვინბერგი აღნიშნავს, რომ დათვალიერების დახმარებით ამჟამად  
შესაძლებელია ფაქტიური მონაცემების გამოვლენა და ფიქსირება, რომელთა მიღება არც  
თუ ისე დიდი ხნის წინ შესაძლებელი იყო ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების  
გზით.<sup>1</sup> ნ.ვ.ტერზიევის აზრით, გამომძიებლის ან მოსამართლის კომპეტენციათა ზღვარი  
ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებისას არის ცვალებადი, სპეციალური  
ხასიათის ცნობების რაღაც ნაწილი იქცევა საერთო ფლობის ცნობებად.<sup>2</sup> ამასთან  
დაკავშირებით ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევაში ექსპერტისა და  
გამომძიებლის კომპეტენციათა გამიჯვნის საკითხი მუდმივად იწვევს დისკუსიას.

ავტორთა ნაწილი, უშვებს რა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის  
შესაძლებლობას გამომძიებლის მიერ (დამოუკიდებლად ან სპეციალისტის  
დახმარებით) თვლის, რომ ამ გამოკვლევათა შედეგებს მხოლოდ ტაქტიკური ან  
ოპერატიული მნიშვნელობა აქვთ და ისინი არ შეიძლება ემსახურებოდეს  
მტკიცებულებათა წყაროს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ВИНБЕРГ А.И. К вопросу об основах криминалистической техники, как раздела науки советской криминастики //Правоведение, 1967, №1. - С. 91.

<sup>2</sup> ТЕРЗИЕВ Н. Следственный с судебный осмотр документов //Соц. законность, 1948, №3.-С.22.

<sup>3</sup> ВАЙНШТЕЙН А.А. Специалисти в следственном осмотре: автореф. дисс...канд. юрид. наук. - Москва, 1966. - С. 11; МИТРИЧЕВ С. Криминалистика и криминалистическая экспертиза // Соц. законность, 1966, №5.-С.13; ПРИЩЕПА В.М., СЕГАЙ М.Я. Процессуальные и криминалистические основания идентификационных

სხვა მიმართულების მომხრე ავტორები დასაშვებად თვლიან, რომ გამომძიებლის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, შესაბამისი პროცესუალური გაფორმებისას და განსაზღვრულ ფარგლებში შეიძლება იყოს მტკიცებულებათა წყარო.<sup>4</sup>

ამ დისკუსიაში შეიძლება გამოვყოთ დავის შედარებით ვიწრო მიმართულება, რომლის მონაწილენიც წყვეტები საკითხს გამომძიებლის მიერ საიდენტიფიკაციო გამოკვლევათა დასაშვებობის და მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობის შესახებ.

ავტორთა პირველი ჯგუფი თვლის, რომ გამომძიებლის მიერ დამოუკიდებლად ან მცოდნე ადამიანთა დახმარებით საიდენტიფიკაციო გამოკვლევათა ჩატარება სავსებით დასაშვებია, მაგრამ ამ გამოკვლევათა შედეგებს არ შეიძლება ჰქონდეთ მტკიცებულებითი ძალა.<sup>5</sup>

სხვა ჯგუფის ავტორთა აზრით, იგივეობის ფაქტები შესაძლებელია დადგენილი იქნას ექსპერტიზის გარეშე, თუკი მათი სიცხადე ეჭვს არ იწვევს, ხოლო დასკვნა იგივეობის შესახებ გამომდინარეობს ნიშნების აღწერილობიდან, რომლებიც შესულია ოქმის შინაარსში.<sup>6</sup>

ვ.ი.კოლდინი ასევე მიიჩნევს, რომ გამომძიებლის მიერ ჩატარებულ საიდენტიფიკაციო გამოკვლევებს, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა იგივეობის არ არსებობის ფაქტი, შეუძლიათ ჰქონდეთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა.<sup>7</sup>

დაყენებული საკითხის მთლიანობაში გადასაწყვეტად ჩვენი აზრით, საჭიროა პირველ რიგში განვსაზღვროთ და მკვეთრი პოზიცია გამოვხატოთ სამი საკითხის მიმართებაში: მტკიცების პროცესში შედეგების გამოყენების ხასიათის მიუხედავად გამომძიებლის მიერ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების ზღვარის შესახებ, ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის ცნების შესახებ, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების ცნების, მისი საზღვრებისა და მტკიცებულებითი მნიშვნელობის შესახებ.

действии следователя //Криминалистика и суд. Экспертиза. - Киев: РИО МВД УССР, 1969, вып.6. - С.92; ШАЛАМОВ М.П. некоторые проблемы советской криминалистики. - Москва: ВЮЗИ, 1965.- С.55.

<sup>4</sup> ГЕРАСУН А. Осмотр вещественных доказательств в криминалистическом кабинете //Радянське право, 1963, №5. - С.68; ДУЛОВ А.В. Постоянное совершенствование научно-технических средств - непременное условие развития следственной тактики //Судебная экспертиза. - Минск: Высшая школа, 1964. - С. 11; ЖОГИН Н.В., ФАТКУЛЛИН Ф.Н. 1fcf[8 yfih8 ud8 167; КОЛМАКОВ В.П. Следственный осмотр. - Москва: Юр. литература, 1969. - С.24; Николайчик В.М. Следственный осмотр вещественных доказательств. - Москва: Прокуратура СССР, 1968. - С.16; Гончаренко В.И. Научно-технические средства в следственной практике. - Киев: Лыбидь, 1984. - С.27; 1f c[d8

<sup>5</sup> ЗОТОВ Б.Л. Криминалистическая экспертиза на предварительном следствии. - Москва: ВЮЗИ, 1956. - С.14; КОЛМАКОВ В. Совершенствовать тактику проведения идентификационных следственных действий //Радянське право, 1968, №10. - С.37; СЕГАЙ М.Я. Методология судебной идентификации. - Киев: РИО МВД УССР, 1970. - С.67; СЕЛИВАНОВ Н.А. Научно-технические средства расследования преступлений: Автореф. дисс...доктора юрид. наук. - Москва, 1965. - С. 14; ТЕРЗИЕВ Н.В. Идентификация и определение родовой (групповой) принадлежности. - Москва: ВЮЗИ, 1961. - С.12.

<sup>6</sup> ГРАНОВСКИЙ Г.Л. Основы трасологии. - Москва, 1965. - С.101; КОВАЛЬЧУК З.А. К вопросу о разграничении компетенции следователя и эксперта при исследовании вещественных доказательств //Криминалистика с суд. экспертиза. - Киев, 1964, вып. 1. - С.44; МИТРИЧЕСВ В.С. Установление источника происхождения, принадлежности единому целому предметов при расследовании преступлений //Теория и практика суд. экспертизы. - Москва, 1964, вып. 1(1). - С. 138; РАССЕЙКИН Д.П. Расследование преступлений против жизни. - Саратов: СГУ, 1965. - С. 148; СОКОЛОВСКИЙ З.М. О применении следователем криминалистических знаний при исследовании вещественных доказательств //Советское государство и право, 1957, №1. - С. 72; ЭЙСМАН А.А. Критерии и формы использования специальных познаний при криминалистическом исследовании в целях получения судебных доказательств // Вопросы криминалистики. - Москва: Госюризdat, 1962, №6-7 (21-22). - С.35 1f c[d8

<sup>7</sup> КОЛДИН В.Я. Идентификация при расследовании преступлений. - Москва: Юр. литература, 1978. - С.70.

საჭიროა უკუვაგდოთ, როგორც უსუსური, ნებისმიერი მცდელობა კრიმინალისტიკური ტექნიკის არსებითად დიფერენცირებისა “ტექნიკად გამომძიებლისათვის” და “ტექნიკად ექსპერტისათვის”.

რა თქმა უნდა, კრიმინალისტიკური საშუალებები არ არის ერთგვაროვანი. სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ნაწილი, როგორც წესი, გამოიყენება ექსპერტის მიერ, მეორე ნაწილი - ძირითადად, გამომძიებლის, მესამე - ორივეს მიერ. მაგრამ ამავე დროს, ერთის მხრივ, კრიმინალისტიკური ტექნიკა, როგორც კრიმინალისტიკის საგნის შემადგენელი ნაწილი, მჭიდროდაა დაკავშირებული კრიმინალისტიკურ ტაქტიკასთან და ცალკეული კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკასთან, შეიმუშავებს თეორიულ დებულებებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს, პირველ რიგში, საერთოს სისხლის სამართლის პროცესში მათი გამოყენების ყველა ფორმებისათვის და პროცესის გარეშე. შემდეგ კი უფრო დეტალურად გამოიკვლევს საგამოძიებო და საექსპერტო მუშაობაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების შესაძლებლობებს. მეორეს მხრივ, კრიმინალისტიკური ტექნიკის ასეთი უაღრესად ფორმალური გამიჯვნისათვის არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმი, რადგან ტექნიკის განვითარება ერთობ დინამიურია, იგი იჭრება საგამოძიებო პრაქტიკაში და მუდმივად ამდიდრებს მას. გამომძიებლის მიერ ტექნიკის დაუფლებას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს საზღვარი.

კრიმინალისტიკური ტექნიკის დაყოფა სუბიექტურია და ამიტომ, მისი გამოყენება გამომძიებლის და ექსპერტის მიერ განსხვავებულია მხოლოდ მათი პროცესუალური ფუნქციების განსხვავებულობასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავს ვ.ი. კოლდინი, რომ მტკიცების პროცესში გამომძიებლისა და ექსპერტის კომპეტენციების გამიჯვნა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ერთმანეთს დავუპირისპიროთ ამ პირთა მიერ განხორციელებული გამოკვლევის.<sup>8</sup>

**ბ.ლ.** ზოტოვის აზრით, კანონის მიხედვით ერთ პიროვნებაში გამომძიებლისა და ექსპერტის ფუნქციების შეთავსების დაუშვებლობა ნიშნავს განსხვავებულობას არა ხერხებისა და აპარატურის გამოყენებაში, არამედ გამოკვლევის დასკვნების მტკიცებულებით მნიშვნელობაში.<sup>9</sup>

**ნ.ა.** სელივანოვმა მოგვცა ფრიად არგუმენტირებული დასაბუთება იმის შესახებ, რომ დასაშვებია გამომძიებლის მიერ სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების იმავე ფარგლებში გამოყენება, როგორც ექსპერტი იყენებს. მან აღნიშნა, რომ სასამართლოში შეფასება უნდა მიეცეს გამომძიებლის არა იმ დასკვნებს, რომლებიც მან გააკეთა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე, არამედ ”მტკიცებათა იმ ერთობლიობას, რომლებიც საქმეზეა შეკრებილი”. მანვე აღნიშნა, რომ გამომძიებელი იყენებს ისეთ საშუალებებსა და ხერხებს, რომლებიც არ იწვევენ ნივთიერ მტკიცებულებათა ცვლილებებს, ხოლო ”კანონში იმის აღუნიშვნელობა, რომ დასაშვებია განსაზღვრულ ფორმებში კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება, არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათი პრაქტიკის აკრძალვა”.<sup>10</sup>

აქვე შეიძლება დავუმატოთ ის, რომ გამომძიებლის საქმიანობა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას, რაც წარმოებს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებისა და ნორმების ფარგლებში და მათი მოთხოვნების დაცვით,

<sup>8</sup> КОЛДИН В.Я. Идентификация и её роль в установлении истины по уголовным делам. Москва: МГУ, 1969. - С. 102;

<sup>9</sup> ЗОТОВ Б.Л. Криминалистическая экспертиза на предварительном следствии. - Москва: ВЮЗИ, 1956. - С.12;

<sup>10</sup> СЕЛИВАНОВ Н.А. Вещественные доказательства. - Москва: Юр. литература, 1971. - С. 80-82.

არათუ არ ახდენს ვისიმე უფლებებისა და ინტერესების ნებადაურთველ შელახვას, არამედ პირიქით - ეხმარება ამ უფლებებისა და ინტერესების საუკეთესოდ დაცვას, რადგან ხელს უწყობს მტკიცებულებების ობიექტურ, სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას და, საბოლოო ანგარიშში, ჭეშმარიტების დადგენას.

დავადგენთ რა მნიშვნელოვან გარემოებას, ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია გადავწყვიტოთ საკითხი გამომძიებლისა და ექსპერტის პროცესუალური კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ.

რ.ს.ბელკინი აღნიშნავს, რომ გამომძიებლის ან სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესი თუმცა შეიძლება მიმდინარეობდეს მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მაგრამ იგი არ წარმოადგენს მეცნიერულ ძიებას და, როგორც მართებულად შენიშნავს რ.ბელკინი მას "არა აქვს მეცნიერული კვლევის ხასიათი. ეს არის - პრაქტიკა, რომელიც იყენებს მეცნიერების ცალკეულ დებულებებს".<sup>11</sup> რა თქმა უნდა, საჭიროა და უნდა განვასხვავოთ ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის ხასიათი, რომელსაც აწარმოებენ გამომძიებელი და ექსპერტი. მაგრამ საექსპერტო გამოკვლევები ნამდვილად მეცნიერულ გამოკვლევას, მეცნიერულ ძიებას წარმოადგენენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ადრე შემუშავებული მეთოდები, ხელსაწყოები და ა.შ. არ გვაძლევენ დაყენებული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას და ამისათვის საჭიროა კვლევის ახალი მეთოდების შემუშავება, უახლესი ხელსაწყოების შექმნა ან ძველი მეთოდებისა და ხელსაწყოების სრულყოფა და სპეციალური მომარჯვება.

როგორც წესი, გამომძიებელი სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს იყენებს მხოლოდ გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ისეთი ფაქტების გამოვლენისა და აღმოჩენისათვის, რომლებიც შეუმჩნეველი და დაფარულია სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებით შეუიარაღებელი ადამიანისათვის, ექსპერტიზა კი ინიშნება მაშინ, როცა საჭიროა სპეციალური ცოდნის გამოყენება სისხლის სამართლის საქმის განსაზღვრულ გარემოებათა გამოკვლევისათვის. ასევე ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ გამოკვლევისა და დათვალიერების ცნება. გამოკვლევა, დათვალიერებასთან შედარებით, წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებათა შესწავლის უფრო რთულ ფორმას. ამიტომ მათი ერთიმეორესთან გაიგივება არ შეიძლება.

დათვალიერება და გამოკვლევა თანაბარმნიშვნელოვანი ცნებები არაა. არც მათი დაპირისპირება შეიძლება. ამასთან მათ არ შეიძლება მივანიჭოთ თვისობრივად სხვადასხვა მნიშვნელობა, რამდენადაც დათვალიერებაც გნოსეოლოგიური გაგებით კვლევის სპეციალურ მეთოდს წარმოადგენს. სემანტიკურად გამოკვლევა პრაქტიკაშია არა მხოლოდ როგორც მეცნიერული ძიება, არამედ აგრეთვე როგორც "დათვალიერება რაიმეს გამოსარკვევად, შესასწავლად", რომელიც უნდა ჩატარდეს კრიმინალისტიკურ ტაქტიკაში შემუშავებულ სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და ტაქტიკური ხერხების სწორი თანმიმდევრული გამოყენებით ყურადღებითა და დაკვირვებით. გამომძიებლის მიერ ჩატარებული გამოკვლევები მოკლებულია მეცნიერული ძიების მთავარ ნიშნებს და მდგომარეობს სწორედ გულმოდგინე დათვალიერებაში. ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების სწორი, თანმიმდევრული გამოყენება, უდაოდ აფართოებს დათვალიერების შესაძლებლობებს იქ არსებული კვლებისა და სხვა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოჩენისა და ფიქსაციის მიმართებაში.

<sup>11</sup> БЕЛКИН Р.С. Сущность экспериментального метода исследования в советском уголовном процессе и криминалистике. - Москва, 1961. - С. 16.

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ უხვად მოიპოვება მნიშვნელოვანი ცნობები, როცა გამომძიებლების, პროცესურორ-კრიმინალისტების, სპეციალისტების მიერ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა წარმატებული გამოყენების შესახებ ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის, რომელთა შედეგები სათანადოდ იყვნენ რა დაფიქსირებულნი დათვალიერების ოქმი, მიღებული იქნა სასამართლოების მიერ, როგორც უტყუარი მტკიცებულება, ექსპერტიზის დანიშვნის გარეშე.

საქართველოს სსსკ-ის 98-ე მუხლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ "სპეციალისტი საჭირო დახმარებას უწევს მომკვლევს, გამომძიებელს, პროცესურორსა და სასამართლოს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, დამაგრებასა და დემონსტრირებაში".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენისა და გამოკვლევის ორი საერთო ფორმა - პროცესუალური და არაპროცესუალური. გამოკვლევის პროცესუალურ ფორმებიდან უმთავრესად აღიარებულია დათვალიერება (საგამოძიებო და სასამართლო), და ექსპერტიზა. პროცესუალური ფორმებიდან ყოველი მათგანი რეგლამენტირებულია კანონით და ყოველი მათგანის შედეგებს აქვთ მტკიცებულებითი მნიშვნელობა. არაპროცესუალური ფორმის მეშვეობით შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ შემეცნებითი მიზნებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების მთელი არსენალი, მაგრამ მათი გამოყენების შედეგებს არ ექნება მტკიცებულებითი მნიშვნელობა. რადგან ამ ფორმის გამოყენების შედეგები არ ფიქსირდება არავითარ ოფიციალურ პროცესუალურ დოკუმენტებში.

ამრიგად, ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის დროს მტკიცებულებითი ფაქტორების მიღება, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების და მათ საფუძველზე შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შესაძლებელია საგამოძიებო (სასამართლო) დათვალიერების და ექსპერტიზის ჩატარების გზით.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაიბადოს კითხვა: რა კრიტერიუმები შეიძლება დაედოს საფუძვლად გამომძიებლისა და ექსპერტის კომპეტენციათა გამიჯვნას, რა შესაძლებლობები აქვს გამომძიებელს შესაბამისი საშუალებებისა და ხერხების გამოყენების გზით ფაქტების დამოუკიდებლად დასადგენად და როდის უნდა მიმართოს მან დახმარებისათვის ექსპერტს?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამომძიებლისა და ექსპერტის კომპეტენციათა გამიჯვნის საფუძვლად არ შეიძლება დადებული იქნას აზროვნებითი პროცესების სირთულეების ხარისხი, გამოსაყენებელი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დახასიათება, ცალკეული ტერმინების (მაგალითად, დათვალიერება-გამოკვლევა, აღმოჩენა-გამოვლენა და ა.შ.) დაპირისპირება, რამდენადაც ისინი არიან მნიშვნელოვანხარისხობრივად განუსაზღვრელი. აქ საჭიროა კლასიფიკაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს ნიშანს, რაც არ იცვლის თავის არსს მართლმსაჯულებების სამსახურში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების მუდმივად და მზარდ გამოყენებასთან და ამ მონაცემების გამოყენებაში ჩვეულებრივი და სპეციფიკური ელემენტების თანაფარდობის მუდმივ ცვლილებასთან დაკავშირებით.

გამომძიებლისა და ექსპერტის კომპეტენციათა გამიჯვნის ერთერთ კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრულია კანონში, წარმოადგენს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის სპეციალურ ცოდნათა გამოყენების აუცილებლობა. მაგრამ მხოლოდ ეს ერთი კრიტერიუმი, განსაკუთრებით კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, საკმარისი არ არის. ეს გარემოება პრაქტიკულად ყველას მიერ არის აღიარებული ლიტერატურაში.

ბევრი ავტორის მიერ მეორე კრიტერიუმად წამოყენებულია თვალსაჩინოება და ნაკლები თვალსაჩინოება კრიმინალისტიკური გამოკვლევების შედეგებისა პროცესის მონაწილეებისათვის, ე.ი. თუ ისინი აშკარა და თვალსაჩინოა მაშინ განსაზღვრულ სიტუაციებში, მასზე საკმარისი საფუძვლების არსებობისას, შეიძლება შემოვიფარგლოთ საგამოძიებო დათვალიერების ჩატარებით (სპეციალისტების ჩართვით, ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისაგან დამოკიდებულად) და ამ საგამოძიებო მოქმედებით გამოვლენილი ფაქტების ოქმში ფიქსაციით.<sup>12</sup>

სიცხადის ცნება ზოგადი ნიშნებით საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ გამომძიებლისა და ექსპერტის კომპეტენცია. მაგრამ, ჩვენი აზრით, კლასიფიკაციის საფუძველში ჩადებული უნდა იქნას უფრო მეტად სტაბილური ნიშანი, რამდენადაც სიცხადისა და არასიცხადის ცნებები მუდმივად იცვლება როგორც საერთო პრობლემებთან, ისე კერძო საკითხებთან მიმართებაში. ამ მოვლენას აქვს აჩქარების ტენდენცია სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან და ადამიანთა განათლებულობის მნიშვნელოვნად ფართო ამაღლებასთან დაკავშირებით.

ამასთან მართებულად შენიშნავს პ.კოპნინი, რომ ცალკეულ მოვლენათა მიზეზების სიცხადე შეიძლება მოჩვენებითი იყოს და ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმად არ შეიძლება მივიჩნიოთ არც მგრძნობელობითი დაკვირვება, არც თვითსიცხადე, არც მკაფიობა და გარკვეულობა.<sup>13</sup>

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სიცხადე და თვალსაჩინოება ყოველთვის არ გამომდინარეობს უშუალო აღქმის ხელმისაწვდომობიდან. ამავე დროს ძნელია დაეთანხმო მტკიცებას, რომ თუკი გამოკვლევის მსვლელობა ყველა დამსწრისათვის გასაგებად მიუწვდომელია, მისი შედეგი კარგავს ყველასათვის სიცხადის ხასიათს, რის შედეგადაც უსათუოდ უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა.

ასეთ შემთხვევებში უნდა დაისვას საკითხი შედეგისა და გამოკვლევის კავშირის სიცხადის შესახებ და არა თვით გამოკვლევის მიმდინარეობის სიცხადეზე.

მაგალითად, მელნით ნაწერი ჩანაწერის წაკითხვის დროს ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქნელის დახმარებით გამოკვლევის გზა საბუნებისმეტყველო მეცნიერების თვალსაზრისით შეიძლება მიუწვდომელი იყოს საგამოძიებო მოქმედების ცალკეულ მონაწილეთა გაგებისათვის, მაგრამ გამოკვლევის შედეგები ყველას მისცემს შესაძლებლობას დარწმუნდნენ იმაში, რომ ლაქის ქვეშ არსებობს განსაზღვრული ჩანაწერი. უდავოდ, იმისათვის, რომ მივიღოთ ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქნელის მუშაობის განმარტება, არ არის საჭირო დაინიშნოს კრიმინალისტიკური ექსპერტიზა.

ექსპერტიზის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს დასკვნის გაცემა, რაც შესაძლებელია მხოლოდ გამოკვლევის და ამ გამოკვლევის მონაცემების სპეციალისტის მიერ განმარტების საფუძველზე. ექსპერტის დასკვნები ფორმირდება

<sup>12</sup> БЕЛКИН Р.С. Собирание, исследование и оценка доказательств. - Москва: Наука, 1966. - С. 49, 52; Винберг А.И., ЭЙСМАН А.А. Криминалистическая идентификация в теории судебных доказательств //Сов. государство и право, 1966, №2. - С. 112; ГАЛКИН В.М. Средства доказывания в уголовном процессе, ч.66. - Москва: ЦНИИСЭ, 1968. -С. 17; ГЕРАСИМОВ В.Н. Применения средств и методов криминалистической инфракрасной техники в расследовании преступлений: Автoref. дис...канд.юрид.наук. - Москва, 1975.-С.7; ДУЛОВ А.В. Разграничение пределов использования криминалистической техники следователем и экспертом //Вопр. суд. экспертизы. - Ленинград: ЛГУ, 1960. - С. 81; КОЛМАКОВ В.П. Идентификационные действия следователя. - Москва: юр. литература, 1977 - С.27; Криминалистика / Под ред. А.Н. Васильева. - Москва: МГУ, 1971. - С.26; ОРЛОВ Ю.К. Основания назначения и проведения экспертизы //Сб. науч. Тр. ВНИИСЭ. - Москва, 1976, №22. - С. 95; и др.

<sup>13</sup> Копнин П.В. Гносеологические и логические основы науки. - Москва: Мысль, 1974. - С. 162.

ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში ნიშნებისა და ფაქტების გამოვლენის, მათი ანალიზის, მათი ბუნების, ერთიმეორისაგან დამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის დადგენის საფუძველზე, საბოლოო ჯამში - ნიშნებისა და ფაქტების მათ ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე. საექსპერტო გამოკვლევაში სწორედ შეფასებითი მსჯელობა წარმოადგენს იმ აბსტრაგირებას, რომელსაც მკვლევარი მიჰყავს ჭეშმარიტებამდე.

ამიტომ ჩვენი აზრით, ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს იმ შემთხვევებში (გარდა საერთოსავალდებულო ექსპერტიზებისა), როდესაც ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სპეციალურ ცოდნათა საფუძველზე და დასკვნა ამ გამოკვლევის შედეგების შესახებ შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ მკვლევარის შეფასებითი მსჯელობის საფუძველზე.

თუნდაც ერთერთი დასახელებული კრიტერიუმის არ არსებობის შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნა არ არის საჭირო და საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მიღწეული იქნეს გამომძიებლის მიერ დამოუკიდებლად ან სპეციალისტის დახმარებით სათანადო პროცესუალური გაფორმებით.

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით შეიძლება მხარი დავუჭიროთ იმ ავტორთა აზრს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ საგამოძიებო დათვალიერების გზით მთელი რიგი არაიდენტიფიკაციური და იდენტიფიკაციური ხასიათის საკითხების გადაწყვეტას.<sup>14</sup> კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დადგენილი და დათვალიერების ოქმში დაფიქსირებული ფაქტები არ საჭიროებენ შემდგომში ექსპერტიზის გზით "გადამოწმებას", ექსპერტის დასკვნაში "დამაგრებას".

რა თქმა უნდა, დათვალიერების ოქმში საჭიროა საკმაოდ, სრულად და ხარისხიანად იმ ნიშნების აღწერა, რომლებიც გამოვლინდა ვიზუალურად და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დახმარებით და რასაც აკვირდებოდნენ დათვალიერების ყველა მონაწილენი, მაგრამ ამ ნიშნების მნიშვნელობის თაობაზე დასკვნა არ უნდა ფიგურირებდეს ოქმში, რამდენადაც ფაქტების შესახებ ცნობების წყაროს წარმოადგენს არა დათვალიერების ოქმის შემდგენი პირის დასკვნა, არამედ ნივთიერი მტკიცებულება მისი გამოვლენილი თავისებურებებითა და ნიშნებით.

ამრიგად, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგებს ნებისმიერ პროცესუალურ ფორმაში აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა ან მათი ინტერპრეტაციის სახით ექსპერტის დასკვნაში ან მათი ფიქსაციის სახით საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღწერილობისა და სქემების ან ფოტოილუსტრაციების დართვის გზით.

რაც შეეხება პირველ ფორმას, აქ ყველაფერი განსაზღვრულია: მტკიცებულების წყაროს წარმოადგენს ექსპერტის დასკვნა, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგებს აქვთ მხოლოდ გამაშუალებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა. სხვა საქმეა, როდესაც ჩვენ განვსაზღვრავთ საგამოძიებო მოქმედებათა მსვლელობაში ამ საშუალებების გამოყენების სტატუსს.

<sup>14</sup> БЕРЛЯНД Г.С. О методологических основах решения проблемы компетенции эксперта в советском уголовном процессе //Криминалистика на службе следствия. - Вильнюс, 1967. - С. 27; Кисляков В., Корниенко Н. Предварительные исследования в работе следователя //Соц.законность, 1972, №4. - С.65; Николайчик В.М. следственный осмотр вещественных доказательств. - Москва: Прокуратура СССР, 1968. - С.16; Теория доказательств в советском процессе. - Москва: Юр. литература, 1973. - С. 706; Шаркова Т.Ф. О самостоятельных исследованиях вещественных доказательств, проводимых следователем //Криминалистика и суд. экспертиза. - Киев: РИО МВД УССР, 1969. вып. 6. - С.88;

ჯერ კიდევ ადრე ლ.ე.ვლადიმიროვი განსაზღვრავდა, რომ დათვალიერების ოქმები, შეძლებისამებრ, უნდა იყვნენ შევსებულნი ტექნიკური რეპროდუქციებით.<sup>15</sup>

ამასთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს რ. ბელკინი, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საგამოძიებო მოქმედებათა მსვლელობისა და შედეგების მაქსიმალურად სრული და ობიექტური ფიქსაცია წარმოადგენს კანონიერი ფორმის მტკიცებულებების დადასტურებითი ფუნქციის სათანადოდ განხორციელების პირობას.<sup>16</sup>

ზემოაღნიშნულის დასასაბუთებლად ასევე მართებულად შენიშნავს ი.ალენინი და ვ.ტიშენკო: საკმარისია გავიხსენოთ, რა გარემოებები დგინდება და ფიქსირდება, მაგალითად, გვამის დათვალიერებისას მისი აღმოჩენის ადგილზე, რათა დავრწმუნდეთ დათვალიერებისას სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების აუცილებლობაში.<sup>17</sup>

უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებენ, რომ ოქმებს შეიძლება დაერთოს გეგმები, სქემები, ტვიფრები, ანაბეჭდები და სხვა მათდაგვარი ობიექტები, რომლებიც მოცემულ ოქმთან ერთად და მათთან კავშირში წარმოადგენენ მტკიცებულებათა წყაროს.

სისხლის სამართალწარმოებაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მონაცემების დანერგვის ერთერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგს წარმოადგენს სხვადასხვა სახის მატერიალურ გამოსახულებათა მიღება, როგორიცაა - ტვიფარები, ანაბეჭდები, ფოტოსურათები და სხვა, რომლებმაც მიიღეს ნაწარმოები ნივთიერი მტკიცებულებების სახელწოდება. მათი როლი და შესაძლებლობები განსაკუთრებით იზრდება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან დაკავშირებით, რაც უდაოდ წარმოიშვა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად.

მაგრამ პროცესუალურ და კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში კიდევ გვხვდება გამონათქვამები ნაწარმოები ნივთიერი მტკიცებულებების, როგორც ფაქტიური მონაცემების დადგენის წყაროების, დასაშვებობის წინააღმდეგ.

როგორც სჩანს, სისხლის სამართალწარმოებაში ნაწარმოები ნივთიერი მტკიცებულებების გამოყენების პრობლემის შესწავლა საჭიროა დავიწყოთ გნოსეოლოგიური თვალთახედვით მათი გამოყენების პრინციპული შესაძლებლობის საკითხის გადაწყვეტით. ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ასახვის თეორიის პოზიციიდან, რომელიც მყარად დგას იმის მტკიცებაზე, რომ არ არსებობს გადაულახავი ზღვარი არაორგანულ და ორგანულ მატერიას შორის, ასევე შეგრძნებასა და შეგნებას შორის.

ცნობილია, რომ ასახვის პროცესში, ისევე როგორც მთელს ორგანულ და არაორგანულ სამყაროში შეინიშნება ურთიერთკავშირი და ურთიერთთანამოქმედება<sup>9</sup> რიგი აბიექტები არა თუ ზემოქმედებენ მეორეზე, არამედ აგრეთვე იღებენ ამ უკანასკნელთა მოქმედებას. ურთიერთკავშირისა და ურთიერთ ასახვის აღიარება, იმის ცოდნა, რომ მოიძებნოს ამ ასახვის ნიშნები დანაშაულთა გამოძიებასთან შეფარდებაში ბევრ შემთხვევაში ხელს უწყობს შემთხვევის მექანიზმის დადგენას, აიოლებს

<sup>15</sup> ВЛАДИМИРОВ Л.Е. Учение об уголовных доказательствах. - Тула: Автограф, 2000. - С. 16, 230.

<sup>16</sup> БЕЛКИН Р.С. Курс криминалистики. Том 6б. - Москва: Юрист, 1997. - С. 121-122.

<sup>17</sup> АЛЕНИН Ю.П., Тищенко В.В. Особенности расследования тяжких преступлений против личности. - Одесса: АО Бахва, 1996. - С. 34-35.

მტკიცების პროცესს. მაგალითად, კვლების ურთიერთ განლაგებისა და ხასიათის მიხედვით შეიძლება შეჯახებული სატრანსპორტო საშუალებების დადგენა.

ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში ასახვის ქვეშ გაიგება ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც ”ნიშნავს პროცესს და ერთი მატერიალური სისტემის (ასახულის) მეორეზე (ამსახველზე) ზემოქმედების ერთერთ შედეგს, რაც თავისად წარმოადგენს პირველი სისტემის მეორეში სხვა ფორმით რეპროდუქციას”.<sup>18</sup>

ამ გარემოებას კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის თეორიასთან შეფარდებაში სავსებით სწორად უსვამენ ხაზს რ.ს.ბელვინი და ა.ი.ვინბერგი. ისინი წერენ: ”კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის თეორიაში ასახვის მატარებლად გამოდის მაიდენტიფიცირებელი ობიექტი. ასახული - იდენტიფიცირებული ობიექტი, რომლის ნიშნები ინდივიდუალურია მათ ერთობლიობაში და შედარებით უცვლელი და მდგრადია, ემსახურება იდენტიფიკაციის პროცესს, როგორც აქტიური ობიექტი. ეს აქტიურობა იმაში მუდავნდება, რომ მას შეაქვს გარკვეული ცვლილებები მაიდენტიფიცირებელ ობიექტში, ტოვებს რა მის ზედაპირზე ანაბეჭდებს - თავის თვისებებსა და ნიშნებს. ეს ცვლილებები განპირობებულია მხოლოდ მაიდენტიფიცირებელი ობიექტით, რომელიც შედის რა ურთიერთმოქმედებაში გარემოსთან, ამკიდრებს თავის ნიშნებს, ტოვებს და ასახავს თავის კვლებს”.<sup>19</sup>

თუკი ასახვის პირობები იქნება თუნდაც მინიმალურად ხელსაყრელი, მაშინ გამოსახულება იქნება ასახული ობიექტის ადეკვატური.

გნოსეოლოგიური თვალთახედვით, სახის ადეკვატურობა ითვალისწინებს ზოგიერთ დახასიათებათა არსებობას. პირველ რიგში ესაა - ასახვის ჭეშმარიტება, რაც ნიშნავს სახის შემადგენლობის დამოუკიდებლობას სუბიექტის თვითნებობისაგან, ობიექტურობას. ჭეშმარიტების უმაღლეს კრიტერიუმს წარმოადგენს პრაქტიკა. მეორეც, ობიექტის გამოსახულების სიზუსტე და სისრულე, რაც დამოკიდებულია ამსახველი სისტემის უნარზე, ასახვის ამოცანებსა და სხვ. და ბოლოს, ადვეკვატურობა ხასიათდება სახის შემადგენლობის არსებითობით. ეს დახასიათება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მეტი ცოდნა მიიღება გამოძიებისათვის, რასაც ფასი აქვს შემეცნების სუბიექტისათვის.

ამრიგად, ასახვის თეორია, საერთოდ, და ასახვის ადეკვატურობის ცნება, კერძოდ, საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნა, რომ გამოსახულება და ორიგინალი იმყოფებიან არა იგივეობის ურთიერთობაში, არამედ იზომორფიზმის ანუ მსგავსების ურთიერთობაში, რამდენადაც ”სუფთა” ადეკვატურობის მიღწევა შეუძლებელია. გამოსახულების მიღებაზე მნიშვნელოვანხარისხოვნად ზემოქმედებს ობიექტების ასახვის პირობები, გარკვეული ”ფონი”. ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ასახვის იზომორფიზმი მდგომარეობს მასში, რომ ”ასასახ და ამსახველ სისტემებს შორის გარკვეული რაოდენობით შუამავალი სისტემების შეყვანა ბოლოს და ბოლოს ცვლის გამოსახულების მხოლოდ ფორმას, მაგრამ - არა მის შინაარსს (შემადგენლობას)”.<sup>20</sup>

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ასახვის იზომორფიზმი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ გამოსახულების ტრანსფორმირება ერთი ფორმიდან მეორეში, გადავიტანოთ ინფორმაცია ერთი ფიზიკური ალფაბეტიდან მეორეში, მისი შინაარსის ”შემადგენლობის” დაცვით.

<sup>18</sup> УКРАИНЦЕВ Б.С., ПЛАТОНОВ Г.В. Об объективных критериях и материальной основе развития форм отражения // Вопр. философии, 1964, №10. - С. 27.

<sup>19</sup> БЕЛКИН Р.С., ВИНБЕРГ А.И. Криминалистика и доказывание. - Москва: Юр. литература, 1969. - С.104;

ნაწარმოები ნივთიერი მტკიცებულებების წარმოშობისას ხორციელდება ასახვის იგივე პროცესი. და, ამ შემთხვევებშიც ასასახი ობიექტის ნიშნები ”თავდაპირველი ნივთიერი მტკიცებულება” გადაეცემა ამსახველ ობიექტს - მოდელს - ნაწარმოებ ნივთიერ მტკიცებულებაში.

ასახვა ითვალისწინებს ასასახი ობიექტის ნიშნების ადეკვატურ გამოვლენას გამოსახულებაში. ერთი სხეულის ცვლილებებში უნდა როგორღაც ჩაშიფრული იყოს მოქმედი (ასასახი) სხეულის თვისებები და ნიშნები. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლო დასკვნების გაკეთება იგივეობის არსებობის ან არ არსებობის ან ჯგუფური კუთვნილების შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული. მაგრამ ვინ და როგორ უნდა განსაზღვროს ან შეუძლია განსაზღვროს, ადეკვატურია თუ არა გამოსახულება ასასახი ობიექტის, საკმარისია თუ არა გამოსახულებაში (რაოდენობითა და ხარისხით) ნიშნები შემეცნებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობისათვის? ასახვის თეორიის დებულებებმა ჩვენ მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ განვსაზღვროთ ნაწარმოები ნივთიერი მტკიცებულებები შემეცნების სრულფასოვანი საშუალებებით.

ინფორმაციის თეორია საშუალებას გვაძლევს დავასაბუთოთ ამა თუ იმ ობიექტის ნაწარმოებ ნივთიერ მტკიცებულებებად ცნობის წესი გნოსეოლოგიური და პროცესუალური თვალთახედვით.

გამომძიებელმა (თვითონ ან სპეციალისტის და უქსპერტის დახმარებითაც კი) განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გადაწყვიტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცნობილი იქნას თუ არ იქნას ცნობილი მოცემული ობიექტი ნაწარმოებ ნივთიერ მტკიცებულებად, იმსჯელოს აღნიშნულის შესახებ მასში ასახული ნიშნების მიხედვით.

რამდენადაც, როგორც ეს ჩანს ზემოთ აღნიშნულიდან, წინასწარ არ შეიძლება დადგინდეს ფაქტიური მონაცემების დასადგენად ამა თუ იმ მოდელის ვარგისიანობის განსაზღვრის რაიმე ტექნიკური კრიტერიუმები, საკითხის გადაწყვეტა ადეკვატურობის ხარისხის, მტკიცების პროცესში მოდელის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე, გამომდინარე ინფორმაციის თეორიის დებულებებიდან, მთლიანად უნდა მიეკუთვნოს გამომძიებლისა და სასამართლოს კომპეტენციას, სპეციალისტების ცოდნათა ფართოდ გამოყენებით.

უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 65-ე და 85-ე მუხლების და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე, 303-ე მუხლების ნორმები შეიცავენ ყველა საფუძვლებს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგებით სარგებლობისათვის, რომლებიც მიღებულია გამოძიების მსვლელობაში ან მის გარეთ, რამდენადაც ისინი ყოველთვის იქნებიან დანართები ოქმთან, განცხადებასთან, პატაკთან და ა.შ., ე.ი. კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა წყაროსთან, რომელიც იწოდება საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედებათა ოქმად ანდა მიეკუთვნებიან სხვა დოკუმენტების კატეგორიას. აღნიშნულის ძალით, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მიღებულ შედეგებს ყოველთვის ექნებათ მტკიცებულებათა წყაროების სტატუსი, მართალია, ოქმთან ან სხვა დოკუმენტთან ერთად და მასთან კავშირში, თუკი ამ ოქმში ან სხვა დოკუმენტში მისი გამოყენება იქნება დამოწმებული. ასეთი სახის წყაროებს დამოუკიდებელი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეთ თუნდაც იმიტომ, რომ მათი მიღების ფაქტი და ხერხი აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული რომელიმე ოფიციალურ ოქმსა ან სხვა დოკუმენტში.

ამიტომ წინადადება მათთვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭების შესახებ არადამაჯერებლად გვეჩენება.

დიდი ხანია, მიმდინარეობს დისკუსია საკითხზე მტკიცებაში იმ მასალების გამოყენების დასაშვებობის შესახებ, რომლებიც მიიღება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებისას სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

მ.ვ. სალტევსკი მსჯელობს რა ოპერატიულად ხმის და ვიდეო-ჩაწერის შესახებ, ამტკიცებს, რომ რამდენადაც ხმის კვალის ფიქსაცია ხორციელდება არაკონტაქტური ტექნიკური საშუალებებით, ამდენად მიღებული მასალები ცნობილი უნდა იქნან მტკიცებულებათა დამოუკიდებელ წყაროებად. ამასთან მას მიაჩნია, რომ ფონოგრამები და ვიდეოგრამები უნდა მივაკუთვნოთ ნაწარმოებ ნივთიერ მტკიცებულებებს, რამდენადაც ისინი ტვიფრების და ასლების მსგავსია.<sup>20</sup>

მსგავსი მოსაზრებები გამოთქმულია აგრეთვე სხვა ავტორების მიერ, მაგრამ ისინი ვერ პოულობენ შესაბამის მხარდაჭერას.

ყველა ავტორი, რომელიც ამ საკითხით არის დაკავებული, მხარს უჭერს მტკიცებაში ოპერატიული გზით მოხსნილი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ კატეგორიულად ამტკიცებენ მოთხოვნას, რათა მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნენ მტკიცებაში სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად - მტკიცებულებათა დასაშვებობის და მათი მიღების წყაროების შემოწმების შესაძლებლობის შესახებ.<sup>21</sup>

მოცემულ თავში განხილულ საკითხებს უკრაინასა და საქართველოში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალურ ცოდნათა ცნებების გაგების, მათი სამართლებრივი რეგულირების, მეცნიერული ახსნის და სასამართლოსწინა გამოძიებაში გამოყენების შესახებ, აგრეთვე ჩვენს ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა და სპეციალურ ცოდნათა გამოყენების შედეგების პროცესუალურ სტატუსს მრავალი საერთო აქვთ და ამასთან შეიცავენ განსაზღვრულ განსხვავებებს.

საქართველოსა და უკრაინის სისხლის სამართლის პროცესუალურ კანონმდებლობათა ანალიზი, ჩვენი ქვეყნების მეცნიერთა თვალსაზრისების შესწავლა სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა და სპეციალურ ცოდნათა გამოყენების პრობლემების შესახებ საფუძველს გვაძლევს წინასწარ გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა:

1. დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების, გამოძიების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალურ ცოდნის გამოყენების საფუძვლებს წარმოადგენს მათი მეცნიერული დასაბუთებულობა, პრაქტიკული აპრობირებულობა, კანონიერება, მიზანშეწონილება გამოძიების კონკრეტული პირობების ან საგამოძიებო მოქმედებათა სპეციფიკისაგან დამოკიდებულად.
2. იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცების პროცესის სამართლებრივი რეგულირება უნდა მოიცავდეს ინფორმაციის საიმედო წყაროთა ჩამონათვალს, სისხლის სამართლის პროცესუალურ კანონმდებლობაში სპეციალურად უნდა იყოს ნათქვამი /გათვალისწინებული, გადაწყვეტილი/ ყველა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომელთა გამოყენების შედეგად შესაძლოა წარმოიშვას მტკიცებულებათა მატერიალურად დაფიქსირებული წყაროები ან მათი დანართები.

<sup>20</sup> САЛТЕВСКИЙ М.В. Проблемы совершенствования процессуальной регламентации применения научно-технических средств в уголовном судопроизводстве. - С. 31.

<sup>21</sup> См. ШУМИЛО Н.Е. Процессуальные условия использования оперативно-розыскной информации в уголовном производстве //Актуальные проблемы уголовного процесса и криминалистики на современном этапе. - Одесса: ОГУ, 1993. - С. 77; ТЕРМЫШКИН В.М. Нетрадиционные способы и формы собирания и исследования доказательств при расследовании преступлений. - Харьков: Ин-т МВД, 1994. - С. 36; ПУНДА О.О. დასახ. ნაშ. გვ. 14 და სხვ.

3. უკრაინელი და ქართველი მეცნიერ-კრიმინალისტების და პროცესუალისტებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა და სპეციალურ ცოდნათა ცნება და შინაარსი კვლავ რთულ პრობლემად რჩება.
4. საქართველოს და უკრაინის სისხლის სამართლის პროცესუალურ კანონმდებლობებში განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების გაგება /ტრაქტირება/ განსაკუთრებული განსხვავების გარეშე ხორციელდება. ეს ეხება ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: სპეციალისტი, სპეციალურ ცოდნათა სარგებლობის ფორმები და სპეციალურ ცოდნათა სარგებლობის სუბიექტები.